# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 344

16 ივლისი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

**შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/კ. 204460957), შპს „ისანი თაუერსის" (ს/ნ. 404614681) და შპს „წერეთელი თაუერსის" (ს/ნ. 404614707) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №45 (ს/კ №01.13.06.010.019) და ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №69 (ს/კ. №01.17.13.038.024) დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957), შპს „ისანი თაუერსის" (ს/ნ. 404614681) და შპს „წერეთელი თაუერსის" (ს/ნ. 404614707) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 ივლისის №22.1070.1161 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/კ. 204460957), შპს „ისანი თაუერსის" (ს/ნ. 404614681) და შპს „წერეთელი თაუერსის" (ს/ნ. 404614707) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2021 წლის 8 თებერვლის განკარგულება №21.122.159) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2021 წლის 9 თებერვლის განკარგულება №49), მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №45 (ს/კ. №01.13.06.010.019) და ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №69 (ს/კ. №01.17.13.038.024) შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №45 (ს/კ. №01.13.06.010.019) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს არაუმეტეს -6.0 -ით;

ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №69 (ს/კ. №01.17.13.038.024) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს არაუმეტეს – 14.28-ით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე